

მათრახი

და საღამური

№ 10

ყოველ-კვირეული, იუმორისტული ჟურნალი



ჩვენ სოფელში ზეკუცია გახლათ!

დეპეშები.

ოზურგეთი. ქალაქის თავი თფილისს გაემგზავრა, რომ მოელაპარაკოს ბელგიის საზოგადოებას ოზურგეთში ელექტრონის ტრამვაის გამართვის შესახებ.

ადესა. ქართველ მუშათაგან ბევრმა „ისახელა“ თავი. მაგრამ განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ენციკლოპედისტი გ. სიმონაიშვილი.

ჯურჯვეთი. ზაფხულის სეზონი გათავდა და მოავარაკენი სახლებს უბრუნდებიან. არ იძვრის მხოლოდ ქალბატონი ეგზეკუცია. იმას ძლიერ ზო-ეწონა ჩვენებური ჰაერი და ქათმები.

ბაკურიანი. ადგილობრივ სადგურის უფროსს განუზრახავს სადგურის წინ ბაქანზე ფარდული გააკეთოს, რომ მატარებლის დასახვედრათ მოსული ხალხი წვიმაში არ იწუწუბოდეს. დაბრკოლება ფი-

კრებზეა და თუ იშოვეს დაჩნიკების ბედს ძალდი არ დაპყვეს.

ხილისთავი. დიდი კვლევა-ძიების შემდეგ აღმოჩნდა, რომ ხილისთავში დაქერილი მანდილოსანი, რომელიც აბრეშუმის მაგიერ კენჭებს უიღდა და რომელმაც განაცხადა ცხომელიძეების ცოლი ვარო, ვიღაც ბასილეთელ კალანდაძის ცოლი ყოფილა. კალანდაძეების ცოლები ბოიკოტს უშზადებენ.

ქ. თელავი. ილია პავლოვიჩის კერძო გენანაზიში თავისუფალი ადგილები აღარ არის, რის გამოც თხოვნებს აღარ იღებენ.

იქიდანვე. როგორც ხმა დადის თელავის თავი თანამდებობას თავს ანებებს, რადგანაც ცოტა ჯამაგირს იღებს და ქალაქის საქმეებს კი ბევრს ასრულებს.

შეგობრული დანაკლები.

„ნუ თუ ბოლი არ მოვლდის
სიღუბჭირეს, უგნურობას“.
დათიკო ჭიპაძე.

ძვირფასო დავით ჭიპაძე!

ვერ წარმოიდგენთ როგორი სიამოვნება განვიცადე, როცა რედაქციაში თქვენი „განთიადის“ № 1 მოვიდა და ისიც ჩემ სახელზე. სიმართლე მოგახსენო: იმდენათ „პირველი ტომის“ მიღება არ გამხარებია, რამდენათაც ზედ აღნიშნული წარწერა: „რჩევა დარიგების შესახებ“.

პოეტობა, ძმობილო, ისეთივე გადამდები სენია, როგორიც **დრამატურგობა,** მაგრამ არა უკანასკნელსავით უკურნებელი. ამიტომ მეც შევეცდები ცოტა-თუ-ბევრი დახმარება აღმოგიჩინო თქვენს მწუხარებაში და ნუ დამძრახავთ სიმციროსათვის, ვინაიდან:

„კეთილი გულით მოძღვნილი
მცირედიც შეიწირების“
თორემ სად ძალ-უძს ეშმაკსა
გაბულბულება
მაშ დავიწყეთ!

თქვენი „განთიადის“ პირველ ტომს რომ „№ 1“ არ ეწეროს, ვერც საშიში არ იქნებოდა თქვენი მდგომარეობა, ხოლო ახლა ყველასათვის აშკარა საქმეა, რომ „შგოსნობის“ სატიკვარს ღრმით გაუღდამს ფესვები თქვენს არსებაში. ეს გარემოება ძლიერ მაშინებს, მაგრამ ხომ მოგეხსენება:

„შიში ვერ იხსნის სიკვდილსა,
კულია დაღრეჯილობა“-ო.

მე, ძმაო დათიკო, მინდა თქვენი განკურნება უმთავრესად „ზე შთაგონებით“ და აგრეთვე ზოგიერთ „ბუნების საიდუმლოებათა“ ახსნა განმარტე-

ბით“, მაგრამ იმას კი გთხოვ რაც უნდა დიდი პატივისცემელი იყო მათი მკითხავად, არ მიმიჩნიო.

თქვენს პირველ ლექსში, ანუ „ბოდვაში“, (ზეშთაგონების ძალით თქვენ უნდა დაიჯერათ, რომ თქვენი პოეზია სსზოგადოთ ბოდვია. ამას დიდი საქმე არ სჭირია და ადვილია შთასწერებთ, ხოლო შედეგი ფრად სსსრგებლო ექნება თქვენთვის). რომელსაც „განთიადი“ აწერია ამბობთ:

„შუა ღამეა... საშინლად ბნელა,
ყველგან ჩამქრალა სანათურები.
ქვეყნად კი მეფობს წყვილი ძალა
და თარეშობენ ბნელი ძალები.
შუა ღამეა... ბოზოქროს ქარი,
ღრუბელი ღრუბელს მძლავრად ეჯახვის,
ქექა-ქუხილით ვარსკლავნი თოთიან,
მთვარე ბნელ ძალებს მტრობას შეძახის.
ცა იღრუბლება და დედა-მიწა
გაშმაგებული მძიმეთა სუნთქავს.
სალი კლდეები იფერფლებიან,
ზღვებსა, ოკვანთ ქვესკნელი შთანთქავს“.

ვისთვისაც უნდა მიგეშარათა, ამ სამი პირველი ტაების წაკითხვისათანავე იმედს გადაიწყვეტდა თქვენი განკურნების შესახებ, მაგრამ, ტრაბახში ნუ ჩამომართმევთ და მე არ ვარ ასეთი მოშიშარი მიდრეკილებისა. ჩემი აზრით:

არა რა არს უკურნებელ,
თუ დროზე სცნა კაცმა სენი...
მით უმეტეს „პოეტობა“,
როგორც მაგალითად თქვენი.

თქვენ ამ შემთხვევაში საკმარისია გაითვალისწინოთ ერთი უბრალო რამ: სახელობრ ისა,

- ა) რომ ღრუბელი აორთქლებულ წყალსა ჰქვია.
- ბ) რომ ის არის ჰაეროვანი ნივთიერება და არა მაგარი,
- გ) რომ ღრუბლები ერთმანეთს არ ეჯახუნებიან,
- დ) რომ ქექა-ქუხილი სრულიად სხვა მიზეზებისაგან წარმოსდგება, ვიდრე ღრუბლების ჯახისაგან,
- ე) რომ ცის გუმბათზე ატეხილ ქექა-ქუხილს ისე არა აქვს გავლენა ვარსკლავებზე, როგორც თქვენს „პირველ ტომს“ ინგლისის ლიტერატურაზე.

როდესაც ყოველივე ამას ჩაუკვირდებით და გაითვალისწინებთ, მაშინ თქვენთვის ცხადი იქნება, რომ ზემოთ მოყვანილი ტაეპები თქვენი „განთიადისა“ ეგრეთ წოდებულ უმეცრებაზეა აგებული და რაკი უმეცრება სხვისიც უნდა გაძულდეს, თქვენ თავს როგორ არ გაუმტყუნებთ მისდამი მიდრეკილებას.

თუ მოახერხებთ ამ პირველი ნაბიჯის გადაღმას, შემდეგი ჩემი საქმე იყოს. ეცადეთ.

თქვენს მესამე ლექსს „წმინდა სამება“ აწერია და ასე იწყება:

„მთვარიან ღამეს ცა მოწმენდილზე
მწვანე მინდორში ტკბილათ მეძინა“.
„იესო ქრისტემ და სულმა წმინდამ
მირბინი ჭაბუკს შუბლზე აშხეფა“.

გინახავთ ყოველივე ეს, მაგრამ ამ დროს უცებ გამოგლვიძებიან და მწუხრებულს და გულმოკლულს, რადგან გაღვიძებასთან ერთად სანეტარო სიზმარიც გამქარალა. ამ უბედურობის დროს თქვენ ეშმაკური აზრი მოგვსლიათ თავში და მეორე გვერდზე გადაბრუნებულს ხელ-ახლა დაგიძინიათ, რომ კიდევ გენახათ სიზმარი სანეტარო:

„დაღინებულმა, ფიქრებით სავსემ
განმეორებით მე დაგიძინე,
წმინდა სამება კი ვეღარ ვნახე
და ვერც ხმა ტბილი ზეით ვისმინე“.

აქაც დიდი დაფიქრება არ იყო საჭირო, ჩემო კარგო, რომ ასეთი საჯაყი საქმე არ დაგმართოდა. როცა განმეორებით იძინებდით, თქვენ უნდა გავგეხსენებიათ ერთი თათრის ამბავი. თქვენი სიკეთისა არ იყოს, იმანაც სიზმარში სასიამოვნო რამე, ანუ ფელამუში თურმე, ნახა მაგრამ თან კოვზი არ დაურჩა. როგორც კი გაიღვიძა, მაშინვე კოვზები ჩაიწყო უბეში და „განმეორებით დაიძინა“. მაგრამ დახეთ მის უბედურობას: ფელამუში ვეღარ ნახა.

ეს ძველის-ძველი ამბავია და მეოცე საუკუნის „მგოსანს“ უნდა გცოდნოდა, რომ ქვეყნის საცინლათ „ძილის განმეორება არ მოგეხდინა“.

თქვენს მეოთხე „ლექსს“ წარდგინა აწერია და შიგ ასეთ რამეებს ვკითხულობთ:

„იმედს ვკარგავდი... ფიქრობდი გულში
მუხლ მოდრეკილი ღრმად ვლოცულობდი.
ქვეყნის შვილებზე, ქრისტიანებზე
ხელ აპყრობილი ვლმობიერობდი.
სულ ვღალადებდი, ცრემლებს ვაფრქვევდი,
ხალხისა შევლას ღმერთსა შევსთხოვდი,
მაგრამ უფალსა, სამპიროვანსა
სრულებით მაშინ მე არ ვახსოვდი“.

თქვენ, ძვირფასო დავით, ისიც უნდა ჩაიგონოთ, რომ „ქვეყნის შვილები“ მარტო ქრისტიანები არ არიან, რომ ათასი და ათი ათასი სხვა ჯურის ხალხი ბინადრობს დედა-მიწის ზურგზე. უნდა შეიგნოთ აგრეთვე ისიც, რომ წმინდა სამება, ან ღმერთი უფალი არ არს საყვედურის ღირსი, თუ იმას თქვენ ზოგ შემთხვევებში სრულებით არ ახსოვხართ. განა არ იცით ღმერთს რამდენი რეგენი ყავს ქვეყანაზე? და განა სასაყვედუროა, რომ სულ მუდან თქვენ არ ახსოვდეთ? ამას ეგოსიტო-

ბა ჰქვია და „პოეტობასთან“ შეერთებული ეგოსიტობა ძლიერ მანებელი სენია ინდივიდუალისათვის.

უნდა მოგახსენო, ჩემო ძვირფასო, რომ დაკვირვება ძლიერ შეუწყობს ხელს თქვენს გამომართლებას და გირჩევთ უფრო საკუთარ ნაწარმოებს დააკვირდეთ. დიდი ხნის ვარჯიშ-გამოცდილება არ იქნება საჭირო, რომ მთელი თქვენი მგოსნური მოღვაწეობა სასაცილო ქარაფშუტობათ მოგეჩვენოს და როცა ამ უკანასკნელში დარწმუნდებით, მაშინ მისგან განკურნებაც ადვილი იქნება.

მაგალითისათვის დავაკვირდეთ თქვენს „გაზაფხულს“.

„გაქპრა ზამთარი და დედა-მიწამ
იწყო წელ-ნელა აღმოორთქლება“...

ეს სრულებით პოეტური თქმულება არ არის. ცხონებული ტიტე ართმელაძე სწერდა თავისს „საუბარში“: „როცა ნიგოთიელი გლეხები რასმე მკითხავდენ, მე სირცხვილით თავზე ორთქლი ამდილოდაო“. აქ ეს პოეტურიცაა და შესადარიც, მაგრამ თქვენს ლექსში ნახმარი „აღმოორთქლება“ ისე უხდება გაზაფხულს როგორც ძროხას უნაგირი ანუ გიორგი ამირეჯიბს რედაქტორობა.

«გამოიღვიძა მიწის მუშაპაც,
შეუღდა ყანის მარგლა-თესვასა
ტყის ნადირებმაც ყური დაქვიტეს
მათაც წააძეს შრომაში სხვასა».

არა მგონია ყვირილაში სხვანაირად იცოდენ და საზოგადოთ კი ჯერ სთესენ, ხოლო როცა ამოვა და ბალახი შემოაყრევა მერე მარგლიან ყანას, თქვენ კი უკუღმა მოგდისთ ყველაფერი. არც ნადირებზე ითქმის, თითქო შრომაში ადამიანს ბაძავდენ ისინი.

«ბუნება ხარობს, ყანები ყვავის
ალარ აშინებს მათ საფრთხულია,
გაქპრა ზამთარი კვლავ კი გამეფდა
სიცოცხლით საესე გაზაფხულია».

აქ მე ალარ მოგეხმარებით და აბა თქვენიო თუ მიხვდებით რამდენი შეუფერებელი აზრია ნახმარი.

დასასრულ მოვიყვან რამდენიმე კუპლეტს მუშისადმი მინაძღვენ ლექსიდან.


«ოც ფუთიან ტვირთ ქვეშ ძლივსა კვენს
საბრალო მუშავ!
შენს ღია გულ-მკერდზე სჩქეფს და დულს
ოფლი სიმწრისა,
შენს ფართო შუბლს ღრეჯს შრომა და წარბ
მოუზრელობა
და შენს მადლიან მარჯვენს კი გმობს
ჯიზე მდიდრისა».

აქ ყველაფერი საუცხოვოა, მაგრამ ყველაზე უფრო გასაკვირი ის მოსაზრებაა, რომ „მუშის მარჯვენას მდიდრის ჯიბე გმობს“.

ერთი სიტყვით მე ბევრი რამ მქონდა თქვენთვის სარჩევი, მაგრამ ყველაფერს ერთად ვერც მე ვახერხებ და ვერც თქვენ მოინებლეთ. თუ რიგინათ აასრულებთ ყოველივე იმას, რაც გულწრფელათ გირჩიეთ. იმედი მაქვს ეს უბედურება აღარ გაგიმეორდებათ, მაგრამ თუ ვინიცოხაა მეორე ნომერიც დაგემართოსთ, მაინობეთ და კიდევ ვილონებ რამეს.

ახლა კი მშვიდობით.

ზარდის თქვენი ეშმაკი.



სახელი სხვისი სასჯელი მისი.

ჩაფიქრებულია მამუკა
ორბელიანთა გვარისა,
თავ დაბჯენილსა მკლავზედა,
ზღვა დასდის ცრემლთა ღვარისა.

ფიქრობს ვაჟაკი: „რა მოხდა,
რა ვქენი ამის სადარი!
მე თუ აქ ვზივარ, გიორგი
ამირეჯიბი სად არი?“

ნუ თუ მას შერჩეს სახელი
„ბალში მებრძოლი გმირისა“
მე კი შავ-ბნელი საკანი
კარზე მომგვრელი ქირისა?

შემომეცალენ ტოლები,
მარტო დამტოვეს ობლათა,
ბალში ნადენი ცრემლები
უნდა ვზლო ქირის ოფლათა.

ციხეში მჯდომი მამუკა
აბა ვის შეებრაღვისა...
ამირეჯიბი ნავარდობს,
როგორც ნამდვილი „ქალისა“.

ღმერთო, რა გცოდნე ესეთი
რათ გამიმწარე მე ყოფა...
აწ ტანჯვას ბოლო მოუღდე,
რაც დავისაჯე მეყოფა“.

ჩაფიქრებულია მამუკა
ორბელიანთა გვარისა,
უყვივის კედლებს: „მითხარით
გიორგი სადლა არისა“.

—კი.

გურული სცენა.

(ეკლესიაში)

მღვ. სტაროსტო დუურეკე დუურეკე რემლს
იქნებ ვინმეს ფეხი შემოუცთეს შით.

სტაროსტი.—ვაი წავხდი რას მახამებ ხუცესო
ჯიბეები შენ დაურეკე და მე რალა დუურეკო?

ღიაკვანი.—რას ყაშიერობ საფინდიხევე სხვაი
რომ აფერი ვსთქვათ სირცხვილს რა უყოთ სამი კა-
ცი და ამხელა საყდარი.

სტაროსტი.—ჩვენი ბედი რომ ოთხი არ ვართ,
თვარა გაყოფაზე ერთმანეთს დავკვანკავდით. ახლა-
მშვენეირია: საკურთხეველი მესაკურთხე ხუცესს, სა-
კაცებო განყოფილება შენ და საქალბო კი მე.

მღვ. —ქარმეხი კი გავიდგა თავში! შენ ლა-
ლანტურობ და მე კი სირცხვილი სირცხვილია და
კუჭით კაკალ გულზე ვსკტები.


სტაროსტი.—ამოკიდებს დამცინავ კილოზე ღი-
ლინს:

რა გალიზინებს ხუცესო
სჯობს მეტყოდე ბანსო,
სირცხვილის არ ეშინია
თქვენი შუბლის კანსო.

აკი მრევლი თქვენ შესწირეთ
სადრამო ქანქარსო,
ბოიკოტმა თვარ იქყავლა
კი გაუძღვებთ სხვასო.

მაშვინ წუუდილურმიშხანეთ
ვინც რა უნდა სთქვასო,
აწ შინისკენ წავლიდინდეთ
ვითომ გვიწირავსო—(გაღის)

შხანკოლა.





„პერეგზამენოვისთვის“ მზადება!

საბახმარო კუკლმტები.

(ვაი—ვის ხმაზე)

დახე ჩვენს „სტუდენტებს“
 „ბაქარასა“ შლიან
 და მით ერთმანეთის
 ჯიბეებსა სცილიან,
 „კონტრაბანდათ“ რჩება
 ბევრი იმათგანი,
 გზის ფულს ვერ შოულობს,
 ეწვის შუბლის კანი.

„არშიყოფის“ სენი
 სჭირთ ჩვენს „ბარიშებსა“
 სულში უძვრებიან
 „სტუდენტ-აფიცრებსა.“
 სიყვარულის თოკი
 რომ მოაბან ყელში,
 შემდეგ, როგორც ბურთი,
 ათამაშონ ხელში.

ჩვენი გამგეობა
 თუმც ბევრს დაფხაკურობს,
 თვითონაც არ იცის
 ვინ, ან რას მსახურობს.
 არც წყალი გვაქვს არც რძე,

სული გვეხუთება,
 მაგრამ რას დაეძებს,
 თვითონ ხომ სუქდება?

„რესტორატორს“ მკითხავთ?
 თქვენს მტერს იმისთანა:
 როს ჩანგალს მოგიტანს,
 ავიწყდება დანა,
 თუ რამე უთხარი,
 მზათა აქვს მუშტები,
 ამის გამო ბევრი
 დაკარგა მუშტრები.

ხუმარა.



სიზმრის ახსნა.

1) თავი იხილო თოხლისა გაპუტული, თა-
 ბახსა ზედა მდებარე:—ავია:

უწინარეს ყოველთა სიზმარი ესე მოასწავებს
 რედაქტორსა ვინმე ამირეჯიბსა გიორგიდ წოდებულსა „ბანკისა ბაღად“ მოქეიფესა.

ჟამსა რომელსა „თავი თოხლისა გაპუტული-
 სა“ მოასწავებს არა საკუთარსა თავსა რედაქტო-
 რისა მის, არამედ ბლიკესა მისსა აყუდებულსა, მო-
 დერებულსა საშუსრად ავთა და ორგულთა მამუ-
 ლისა ჩვენისათა.

სხვათა ჟამთა შინა სიზმარი ესე საცინელ არს
 და არა სავალალო.

2) მელა იხილო ცხიერი, მამალთა თანა
 ერთობაზე მოსაუბრე—ფრიად საცინელია:

ჟამსა რომელსა სიზმარი ესე მოასწავებს რე-
 დაქტორსა ვინმე თუმანიშვილსა, კოწიად წოდებულსა,
 რომელი განსაცვიფრებლათ არსთა ყოველთა,
 მელურიითა კულისქნევიითა თვისითა და ცხვირ
 წაყოფილი დახლსა თვისსა შინა განსჯის კითხვითა
 საკაცობრიოთა.

სხვათა ჟამთა შინა სიზმარი ესე კვალად სა-
 ცინელ არს.

უიარაღო ავაზაკი.

(სამდვილად შემთხვევა)
(დასასრული)

II

„დინ“, „დინ“, „დინ“, მოისმა შორია პატარა ზარისა და ევენების ერთხმოვანი და შეუწყვეტელი წკარუნ ჩხარუნი. „ფაეტონია“, გაიფიქრა ჯაბულომ და გულზე რაღაც მოაწვა, რის გამო მთელს მის ტანს ტბილათ გააქრქოლა. მართლაც, არ გასულა სულ რამდენიმე წუთი, რომ ჯაბულოს დუქნის წინ შეჩერდა ფაეტონი, საიდანაც ევროპიულად კოხტად გამოწყობილი ორი ყმაწვილი ჩაბოვიდა.

— „ვასო, არაყს არ დაღვე?“ შეეკითხა ერთი.

— „კარგი იქნება!“ იყო მოკლე პასუხი. ამ სიტყვებით ისინი დუქნისაკენ გაეშურენ. მეტრეც ძირს ჩამოვიდა, ცხენებს თვალი აავლ-ჩაავლო და დონიჯ-შემორტყმული ეტლის წინ გაჩერდა. არაყზე მიიწვიეს. ჩქარა მივიდა, თითქმის მიიბრინა, გადაჰკრა, გატრიალდა და ისევ ეტლის წინ გაჩერდა. ყმაწვილები კი ცოტა ხანს დუქანში დარჩენ. არაყის დაღვევის შემდეგ ერთმა საწერ-კალამი მოითხოვა, ფინჯაკის ჯიბიდან სხვა და სხვა ქალაღები ამოალაგა, მაგიდაზე დააწყო და ერთ მათგანში რაღაც შენიშვნის კეთება იწყო. მეორე გატრიალდა და ნელის ნაბიჯით ეტლისაკენ გასწია. პირველმა წერა დაასრულა, ქალაღები სწრაფათ აჰკრიფა, ისევ ჯიბეში ჩაიწყო, მედუქნეს დანახარჯი ფული გადასცა და დუქნიდან აჩქარებულათ გამოვიდა. ზრდილობიანმა ჯაბულომ ის ეტლამდის მიაცილა და მგზავრებს „გზა მშვიდობისა“ უსურვა. ცოტა ხნის შემდეგ, დუქანში რომ შემობრუნდა იატაკზე დაბეჭდილი ლურჯი კონვერტი შენიშნა. — „ჰაუ, დარჩენიათ“, წამოიძახა და ინსტიქტიურად ფაეტონისაკენ გაექანა, მაგრამ ის უკვე მიმალულიყო. „უბრალო წერილი იქნება“, გაიფიქრა პირველად მან. „იქნება საკირო რამეა!“.. ამ ფიქრებით ის დუქანში შებრუნდა, კონვერტი აიღო, შეატრიალ-შემოატრიალა და ერთ გვერდზე რუსული წარწერა შენიშნა. ჯაბულომ რუსული წერა არ იცოდა, მაგრამ რუსულ სიტყვებს ამტკრევდა და ნაწერსაც ცოტათი არსევდა. დიდის წვალებით მან ძლივს ამოიკითხა: Городъ №, №-ской гур., политическо-ссыл.ному Аполону Цвадагадзе“. ცოტა ქვემოთ კი ფრჩხილებში მოქცეული იყო: 250 вложеніемъ 25 рублей“. ამის წაკითხვაზე ჯაბულოს გული აუტოკდა, რისიღაც შეეშინდა, რისიღაც შერცხვა, სახე გაუწითლდა და შეშფოთებულმა კონვერტს რამდენიმეჯერ იქვენულად და-

ხედა იქ, სადაც „25 рублей“ ჯერ სიტყვით, შემდეგ ციფრით გარკვეულად იყო აღნიშნული. ეჭვი გაეფანტა. მან საჩქაროთ მოკეცა კონვერტი და ახალუხის ჯიბაში ჩაიდვა, მაგრამ ისევ მალე ამოიღო, აკანკალებული თითების წვერით კონვერტს ცალი კიდე შეუხია. „იქ წერილში შეკეცილი მართლაც აღმოჩნდა ფული, ქალაღდის, ფერადი, ახალი, თითქმის უხმარი „ოცდახუთიანი“. ჯაბულომ სწრაფად ამოიღო ფული, მოკეცა და თავის ბუჩუნიკში ფრთხილად ჩასდო, ცნობის მოყვარეობით გატაცებულმა წე ზილი გაშალა და დახლში თავდახრილმა დაიწყო იპისი კითხვა. წერილი შემდეგი შინაარსისა იყო:

„შვილო აპო! პირველად მიიღე ჩემგან მშობლიური სალამი და ნახვის ნატვრა... შენი წერილი მივიღე... იწერები... იმ ამბავზე უკეთესი ჩემთვის რაღა იქნება, შენ გენაცვალოს შენი დედა?!. მარა რა შეძლებისაც ვართ, შენ კარგათ იცი. მე, შვილო, მადლიანი ხალხის შემწეობით ვცხოვრობ! ამ პირობებში მყოფმა, შენ რაღა დახმარება უნდა გავწიო?.. მაინც საწყალი დედის გული არ დამაგრდა ჩვენი ერთადერთი ქოხი გავყიდე, ოცდაორი მანეთის მეტი შიგ არავინ მომცა. სამი მანეთიც ნათხოვრობით შენაძენი ფული მქონდა, ამ ოცდახუთ მანეთს გიგზანვი ვარდენ—მის ხელით, რომელიც ქალაქში მოდიოდა და აღმოთქვა ამ ფულის იქიდან შენს სახელზე თავის ხარჯით გამოგზავნა. ასე, ეს ოცდახუთი მანათი თუ გეყოფა იმ საქმისთვის, თორემ მეტი დახმარების გაწევა მე აღარ შემიძლია... შენ იცი, შვილო, რაღა ქუთიანად მოიქცევი!.. იოლი საქმე არ გავგზარახავს. შენ იცი, თუ ყორნების კერძათ არ გახდი საცოდავი დედიშენის თავს! მშვიდობით! შენი საწყალი დედა, მარია წვადგამისა“...

—

მზე ჩადიოდა, როდესაც ჯაბულოს დუქნის წინ შეჩერდა გამობრუნებული იგივე ფაეტონი, რომლიდანაც სწრაფათ გადმოხტა ერთი იმ ყმაწვილთაგანი, საჩქაროთ დუქანში შევიდა და მედუქნეს რაღაცაზე ლაპარაკი გაუშარათა: „...ევახალში რომ მივედით, შემთხვევით ჯიბე გავისინჯე და სწორედ ის კონვერტი აღარ აღმომაჩნდა. გზაზე, როგორც მასსოვს, ეტლიდან არსად გადმოვსულვარ. მოჰგონდა, რომ მხოლოდ თქვენს დუქანში შემოვედი და აქვე ჯიბიდან ქალაღებიც კი ამოვიღე. შესაძლებელია, სიჩქარის გამო, ჩემდა შეუმჩნევლად, წერილი სადმე აქ დამიკარდა და თქვენ ნახეთ“... დაასრულა მოსულმა. მის დანახვაზე ჯაბულო პირველად შეკრთა, დაიბნა, მაგრამ სითამა-

მე და გაბედულება მალე დაუბრუნდა, სერიოზული სახის გამომეტყველება მიიღო და ცბიერი, გულმტკივნეული განცვიკრებით აღსავსე ყმაწვილს უკანასკნელს შეკითხვაზე გადაჭრილი უარით უპასუხა. სასოწარკვეთილმა და აღელვებულმა ყმაწვილმა ეხლა პირდაპირ გამოუცხადა, რომ წერილი ფულით მას უეჭველად აქ დაუვარდებოდა და ნახულიც ექნებოდა მედუქნეს. — „იმედია, რაც უკვე მოგახსენეთ იმ ფულის შესახებ, საკმარისია იმის საბუთად, რომ წერილი ფულითურთ ეხლავე დამიბრუნოთ. ამასთან, თუ იკადრებთ, გასამრჯელოთ ერთ ხუთ მანეთს გაახლებთ“, უთხრა მან ჯაბულოს და თვალეში შეაჩერდა, მაგრამ ამ აღამიანისაგან დანაკარგის ამოღების იმედი კი გაუქარწყლდა. იმის წინ იღვა უტიფრად, გრძელუდალ მოლიმარი ჯაბულო, რომელიც ჭეიცავდა, რომ არავითარი წერილი მას აქ არ უნახავს, რომ ენახა, არც დამალვიდა და თავისი უეჭვო, უმწიკვლო პატიოსნების დასამტკიცებლათ მოუთხორობდა მის მიერვე შემთხუღ სხვა და სხვა ზღაპრულ შემთხვევებს იმის შესახებ, თუ რამდენისთვის დაუბრუნებია კუთვნილებისაებრ ამ დუქანში ვისიმე მიერ გავიწყებულ-დატოვებული, ან სადმე გზა-შარაზე ნაპოვნი ნივთი თუ ფული, „გულდაწყვეტილმა, იმედგაცრეებულმა ყმაწვილმა ერთი ზიზლით ახედ-დახედა ჯაბულოს. უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ თავი შეიკავა, დუქნიდან გამოვიდა, ფაეტონში ჩაჯდა და უკან გამობრუნდა. ჯაბულო კი თავის დაუსრულებელ ზღაპრებს კიდევ დაღხანს, დიდხანს მოუთხორობდა დუქნის წინ შემთხვევით მოგროვილ ხალხს...

ნ. ზომლეთელი.

შ ა რ ა დ ა.

ნაზი ყვავილის სახელი
 გასჭერით კალმით ორათა...
 (იცოდეთ უმეტნაკლებო
 გამოვა, თანასწორათა!)

პირველს გადასდებთ,
 მეორეს დასვამთ შარადის თავედა...
 (პირველიც არის საჭირო,
 ბოლოზე მოსაკრავადა!)

მოაბამ შემდეგ ჯერ ერთ ნოტს,
 შემდეგ მეორეს გვერდათა...
 (ნოტები ერთი მეორეს
 მოსდევენ თქვენდა ბედათა.)

ახლა შეიტყობთ ჩვენ ხუცებს
 თუ რა აბია გრძელათა...

(ხურჯინის ნაცვლათხმარობენ
 საკურთხის სათრეველათა.)

მოსწყვიტეთ ბოლო ანბანი
 სამი შეგრჩებთ წყებათა...
 (სამივე არის საჭირო,
 შარადის გასაგებათა!)

სულყველას ამის ბოლოზე
 მოაბით შესაერთადა
 პირველ ყვავილის ნაკვეთი
 ცალკე რომ დაგვრჩათ, ერთადა.

გამოვა გვარი გვამისა
 მრავალ-გზის განაგონები,
 მუშტი აქვს თავის ოდენა,
 (თავი ბზის უხვად მქონები...)

გაზეთის რედაქტორია
 პრობკისა შესაწონები,
 ყიზილბაშისა დამცველი
 (ვინც გლვებ შეიძრო ქონები)

ბაღებში სახელ განთქმული
 ტრაბახში მოსაწონები...
 სასჯელის ასაღუნებლათ
 ხრიკების გამოგონები...

ეხლაც თუ ველარ დახსენი
 რეგვენათ მომეგონები.

კოლო.



ახალი ამბები.

სტიპენდიები. ქართულ დრამატიულ საზოგადოებას თავის უკანასკნელ კრებაზე დაუდგენია: ეთხოვოს სარაჯიშვილს, დაუნინშოს სტიპენდია ჩვენს ნიქიერ არტისტს და „დრამატურგს“ ვ. გუნიას, რომელიც აპირობს სახალხო სახლში სცენის მოყვარებთან სწავლის განგრძობას. თუ ქველმოქმედს ფული არ ექნება, შეუძლია სპირტუელი სასმელები მისცეს სტიპენდიის ანგარიშში.

საქველმოქმედო საქმე. როგორც გავიგეთ, „ივერიის“ დახლიდარ ბ-ნ კოწია თუმანიშვილს განუზრახავს შევეციელ კაპიტალისტთა სასარგებლოთ შემოწირულების მოგროვება. ჯერ-ჯერობით მოუკრებია 27 კაპეიკი და იმედი აქვს, ორ-სამ ამდენს კიდევ იზოვის მუშათა გაფიცვის გასატეხათ.

კინალამ მომხდარი უბედურობა. წყნეთის ქუჩაზე ტრამვაის მოძრაობა დიდ განსაცდელშია. აქეთ-იქიდან მომდგარმა ვატმანებმა არ იციან, შედგენ ერთ ლიანდაგიან გზაზე თუ არა. ამ დღეებში ერთი ვატმანი ვაგონის თავზე ასულიყო და იქიდან ათვლიერებდა მეორეს; ამ დროს უცებ ყველა დასჩხავლა და საბრალო გულ შეწუხებული

ძირს ჩამოვარდა. რის ვაი-ვაგლობით მოასულიერეს საბრალო მსხვერპლი უსახელო საზოგადოებისა.

როგორც გავიგეთ, ამ ამბავს უმოქმედნია დირექციაზე და განუზრახავთ აქაც ისეთი სიგნალიზაციის მოწყობა, როგორც სემინარიის მახლობლათ არის. ბარაქალა.



იგი სთვლემს, ტვირთი ბედითი თავის ალაგას ჰგონია.

ლაფში გასვრილო სინდისო...! კაენის ძენო იხარეთ ესეც გვემართა, წაიღეთ, ხომ ჯავრი ამოიყარეთ?!

ტუქსიშვილი.

შ ე ს ა ძ ე ბ ე ლ ი ა ?

გიმნაზიას ავაშენებ შიგ შევლალამ ემაწვილს ასსა ნემეცურათ განვასწავლი გავანათლებ მით თელავსა. მელნათ ალაზნის წყალს ვიხმარ, კალამთ სირაქლეშის ფრთასა ქალაღდათ კი თოვლ-შეფენილ სპეტაც კავკასიის მთასა. „კურმანიკებს“ პროფესორათ გადაგიქცევ პირველ წელსა... უსწავლელი კაცის ნახვას უცებ გავზდი სანატრელსა. მე ილიას მეძახიან პავლე ერქვა მამა ჩემსა... ტყუილები მიყვარს, შაგრამ დაშიჯერეთ ყველა ესა.

შ—ლი.

— როგორ გგონიით, ხელახალი შეფასება ქალაქის ქონებათა მოხდება?

— რასა ბრძანებთ! ნახევარი ხმოსანი ხარაღშია შეფარებით და ამას მოახდენენ!


* * *

კაენის ძენი ხარობენ და ცოდვა იქნევს ენასა, ლაფში გასვრილი სინდისი თავზე მოაჯდა რწმენასა. სული ნალველმა დალია გონებამ აღარ იწამა, სიმტკიცეც შენაც მიღიხარ, უნდა შეგქამოს მიწამა? რას ეუბნები სოფელსა, რა გზაა რაღა ღონია,

ბუნების საკვირველბაანი.

სიკვდილის ხე. ინგლისის გაზეთები შემდეგ სშევირველ ამბავს მოგვითხრობენ: ჟენბულში მუფთი ინგლისელი მისიონერის შეიფი მახლობელ ტუქში შევიდა სასეირნოთ. დაღამდა და ბავში კი არსად სჩანდა. შეწუხებული მამა რამოდენიმე ხანობ-უცნობის თანხლებით შეიფის საძებრათ წავიდა. სამი დღის ძებნის შემდეგ ბავში დღიგს იპოვნეს.

ის „სიკვდილის ხის“ მსხვერპლი გამხდარაყო. ეს არის გვებურთელა ხე. ფოთლებზე დიდრონი ქაჭვები (ეგლები) და საწუწნი მიღები ასხია. როგორც კი მსხვერპლი მიუხედავდება ფოთლები ძირს დაეშე.



ერთი „საორშაბათო“ გაზეთის რედაქტორი დალღს ამოწმებს.

ბიან, თავის მსხვერპლს იტყვს, ვერ ქაჭკვებით ჭკლავს ხოლო შემდეგ საწუწნი მალებით სისხლის სწოვს.

მისიონერის შვილი ასე დაქვირა საკვდილის ხის ფოთოლს, ქაჭვი თვალში, ტვინში გაეყარა და მოკვლა სხეულის ტიტკვლა ნაწილები: ზირისსე და ხელი ისე შეეჭმა, რომ ცნობა გასწირო იყო. ბავში სულ ოთხი წლის იყო, ეს მეხუთე შემთხვაა ამ ხისგან კაცის შეჭმისა...

სიკვდილის ველი ამერიკაში. ამერიკელი ჟურნალისტი სწერს: ამერიკაში არის სიკვდილის ველი. ეს ველი სივრძით დახლოებით 200 ვერსია სივრძით 50 და მდებარეობს კალიფორნიის, და ნევადას საზღვრებსე. ეგვლა, ვინც კი ფეხს შედგამს ამ ველზე ან ევლება, ან ჭკვიდან იშლება. ამ ველის დათვლიერება შეიძლება მხოლოდ მახლობელი მთებიდან, რომლებიც მას გარს არტყია. როგორც ეტყობა—ველი ამომშრალი ტბა უნდა იყოს. ესლა ის უდაბნოა, რომლის ზედა-პირზე მხოლოდ სილა და მარილი მოსჩანს. ველზე აქა-იქ ნაკადული ჩანჩქარებს. მარა საკმარისია ერთი ზეშო წყალი ჩაისხათ ზირში ამ ნაკადლებისგან, რომ მამინვე მოიწამლოთ. ხან გამოშვებით სილა და მარილი მოძრებაში მოდის და თითონ ნთქაგენ ეოვლეივე იმას, რაც კი რამ შესვლებათ ველის ზედა პირზე.

სიკვდილის ველი ეგვლაზე უფრო ცხელი ადგილია, არამც თუ მთელ ამერიკაში, არამედ მთელ დელა მიწის ზურგზე.

საოკეანოებრივი აზრი ამტკიცებს, რომ ამ ველზე აერებული ბრილიანტები და ბერი თქროთაო. ამან მადა აღუძრა თქროს მოყვარულებს და ერთხელ დიდი ექსპედიცია ეწვია ველს. მაგრამ მათგან 50 მამინვე დაიხრცენ, ხოლო დანარჩენი ჭკვიდან შეიშალენ. ამას წინათ კიდევ ერთი გაბედული ფრანგი, 6 თანამგზავრით ესტუმრა ამ ვოკოხეთის ველს, მარა მათგან მხოლოდ ერთი დაბრუნდა ეგვლა დანარჩენი დაიდუპენ. თვით ფრანგმა კი ორი დღის შემდეგ სიცივისგან რეეოლკვრით თავი მოიკლა.

ამ დღეებში იქ გაემგზავრა კიდევ რამდენიმე გაბედული მოგზაური რამლებსაც თან ახლდათ ამერიკელი ლეიტენანტი. ამ ექსპედიციისგანაც ორი საათის შემდეგ მხოლოდ ერთი ცოცხალ-შეგდარი სალდათი დაბრუნდა.

ბახშაროს.

გამოვექეცი ბობოქარ ქალაქს, სადაც პერი მოწამლულია, სად ერთი ხარობს, ათისი წვალობს, სადაც სუყველას მრწამსი ფულია, სადაც ცხოვრება ღულს და გადმოდის, სად იბადება აზრი ნათელი, სადაც წინ სვლაა, წარმატებაა, სადაც ბრძოლაა შეუწყვეტელი, და შენ, ბახშარო, მთაო მალალო, ლაქვარდ სივრცეში ზე აზიდულო, ზურმუხტ ნაძვებით, ნაკადულებით ყოველის მხრიდან შემოზღუდულო, შემოგვეკედლე: რომ ღონე-მიხილის, დაავადებულს მასვა ნეტარი და დამიბრუნო ძალა, რომ შევსდლო არსებობისთვის ბრძოლა მედგარი.

ვიმ ნეტარებავი ღრუბლების ზევით, მსუბუქ ეთერით გარს შემორტყმული ვდგევიარ მწვერვალზე, თავს დამქათქათებს მზე, ბადრი მთვარე, ვასკვლავთ კრებული; ელვა-ქუხილსა ხელითა ვიქერ, ლამაზათაა წინ გადაშლილი: ტყე, მინდორ-ველი, ქალაქსოფელი, და ზღვა მღელვარე, ფაფარ აყრილი!.. და ეს დიადი სანახაობა შორს, შორს მიმაფრენს, ოცნების მხარეს, სადაც ადგილი არა იქვს ხოლომე ტანჯვა-წვალებას და სიმწუხარეს!

ვ. რუხიძე.

უაზთი ბურჯუაქს.

(იმერეთის ცსფრებიდან)

(სტენა მეორე მოქმედებისა)

გამოსვლა I

(ჩიტულას და მასწავლებელი)

ჩიტ. ღმერთო ჩემო! რამ გაფიქრებია აგი სა-
შინელი რამ!

მასწ. მიკვირს ღმერთმანი რისთვის მეცითხები.
ხომ ხედავ, ეს თავ-გასული ჩარჩი აღარაფერ სა-
შვალეებს არ ზოგავს, რომ როგორმე დავგამცი-
როს, თავისი ფუქსავატობა რაღაც გამირობის სხი-
ვით შემოსოს.

ჩიტ. კარგი, მაგრამ ხომ ჩემი მშობლებიც
სირცხვილში ჩავარდებიან.

მასწ. რა ვუყო, ჩემო კარგო, განა ისინი
კი არ არიან ამისი ღირსნი? განა იმათი მოქმედება
პატიოსან აღამიანთა საქციელისგან ისე შორს არ
არის, როგორც ცა დედამიწისაგან? განა იმათ ცო-
ტა...

ჩიტ. კარგი, კარგი, ვიცი...

მასწ. ჰო და თუ იცი, არც იმათ აწყენს ჩვე-
ნი საშვალეების გეგო, მაგრამ ყველაზე უფრო ეს
ჩვენი სოფლელებისათვის იქნება სასარგებლო. მი-
ხეილ ბელტაძე იმათ თვალში რაღაც დიდი ვინმეა.
გუშინ მას მატრაკვეცასა და რეგვენს ეძახოდნენ,
დღეს კი ფულიანი კაცი გახდა და ხალხიც სხვა
თვლით უცქერის. მისი მეგობრები აღარც სკოლას
აქცევენ ყურადღებას, აღარც სამკითხველოს, აღარც
რაიმე სხვა დაწყებულებას.

ჩიტ. ღმერთო, რა ურცხვი და მსუნაგი რამე
უნდა იყოს...

მასწ. ან კი რა უნდა მოეთხოვოს ძარცვა-
გლეჯით გასუქებულ მკლავაძეს, რომელიც ყველა-
ფერს ფულით ზომავს, წარმოიდგინე სიყვარულიც
ფულით უნდა იყიდოს. ხომ ხედავ, რომ მას ფუ-
ლებით უნდა ყოფილიყო კა უნდა და რას არ ჩადის
შენ მშობლებთან...

ჩიტ. ის დღე არ მოესწრება მას...

მასწ. მაშ ასე... უღროვოთ სადმე სიცილი
არ ატეხო, ან რამე...

ჩიტ. (იგინის) ჩემო ოქროვ, კაი მოგიფიქრე-
ბია, მარა ჩემი მშობლებიც რო ილანძღება...

მასწ. რა ვუყო... სხვაფრივ მოუხერხებელი
შეიქნა... (იგინთან ორთავე).

გამოსვლა II

(იგინივე, შაშტიბუქა და ჩიტორეკია)

ჩიტორ. (შემაიჭვრიტება; შემდეგ ფეხსკრები
შემოდის) უჰ... ვინ ყოფილხართ ბატონო! მე დი-

დი ქალბატონი მეგონა და შემოსვლასაც ვერ ვბე-
დავდი. (მივარდება კარებთან) შაშტიბუქ! შაშტი!..
მოდლი აქ, მოდლი! ჩვენები არიან, ნუ გეშინია, არ
გავვიწყრებიან. (უცხვ შაშტიბუქს შემოსტება).

შაშტ. სალამო მშვიდობის უჩიტელო, ჩიტუ-
ლია! (მისვლამებთან).

ჩიტორ. რა გახუნთრუტებს გოგო, გაჩერდი
წორათ!..

შაშტ. შენ ვინ გკითხავს, ბალი ათ შაურა-
თააო?..

ჩიტულ. (მხარზე ხეჯს ადებს სიცილით) სხვა
ამბები რა იცი, ჩემო ჩიტორეკია?

ჩიტორ. ყველაფერი კაი ბატონო... (ეურში
ჩაუხურჩქელებს, იგინთან).

მასწ. სხვა, ჩიტორეკო, რაფა თქვი გუშინ?..
შაშტიბუქას სიყვარული მუცელში ჩაგივარდა?..
ასე თქვი, არა?

ჩიტორ. არ გავვიწყებია ჩემო ათანასე? ეს!
ძნელი ყოფილა ძმაო, სიყვარული, ძნელი. (იგინ-
თან).

შაშტ. ვაი, გავისკდა მიწა შენი სიმაღლეზე
და ჩავარდი შით!.. ის კი არა, მგონი ჩვენი ქალ-
ბატონი თხოვდება აგერ... მიხეილს მიყობაო.

მასწ. რას ამბობ?

შაშტ. რა ვიცი, ასე იმახინენ და... მთელი
ქვეყანა ასე ამბობს და... წახანე ქაისთავზე ვიყა-
ვი და წამქამეს ქალებმა თავი, ჯვარის წერა რო-
დისაო, როდის ქორწილდებაო... მე ჩამევიყვანე
მიწაზე ღმერთი, ხატი, ჯვარი, მარა არ მიჯერე-
ბენ, ხვთის მადლი არ გამიწყრესთქვა, წმინდა ბა-
სილი არ გამიწყრესთქვა, წმინდა გიორგი არ გა-
მიწყრესთქვა, ესო ქრისტე არ გამიწყრესთქვა, მა-
რა არ იქნა და არა, არ დამიჯერეს...

მასწ. აწი შე გლახა ვერ სთქვი, რომ კვირას
იწერს ჯვარსთქო?

შაშტ. მართალია თუ?!

მასწ. აბა არ იცი?

ჩიტორ. ვაი, ვაი შენ ბატონს! აბა არ იცო-
დი, ვერ გეიგე? ბამბა გაქ ყურში?..

შაშტ. თუ ასეა აბა მე ვიცი, ამ საათში ყვე-
ლა მეზობლის ქალებს მოვუყობი.

მასწ. აგრე ქენი, აგრე, ყველას უთხარი.

შაშტ. ვინ თხოულობსთქვა, ბურჯუაძეთქვა
ბატონო?

მასწ. ხო... ხო... მიხეილ ბურჯუაძე...

შაშტ. აბა, მე ვიცი აწი! ჩიტორეკო, უშვე-
ლე, შეეძრათ ჩვენებურათ ცა და ქვეყანა. (ჩიტო-
რეკია ერთხანს მასწავლებელს ეხურჩქელება დიმილით).

ჩიტორ. მოგიკვდეს ბიჭი ჩიტორეკია, თუ სულ

ბუკი არ დაკრას... ბურჯუაძე ქორწილდება, ბურ-
ჯუაძეთქვა... (გარბან).

გამოსვლა III

(მასწავლებელი და ჩიტულა)

ჩიტულ. რა სასაცილო ამბავი ტრილდება
ღმერთმანი, ან?.. ნეტავი სრულებით არ დაგეწყო
ეს ოხერი, გული რაღაც...

მასწ. კარგი გენაცვალე, ნუ იცი შენ ასე
ყველაფერში შიში და ქორივით უკან ხევა! განა
შენს ინტერესს კი არ შეადგენს, თუ იმას ჩვენ
სოფლის თვალში დავაქვეითებთ და მისს სულის-
კვეთებას ყველასათვის აშკარათ გავხდით? მე მგო-
ნია შენ ისე თვლი მავნებელ პირათ, როგორც მე...
ის შენს თვალში მხეცია მტაცებელი ადამიანის სა-
ხით, გარყვნილი და შეტი არაფერი... მე მგონია
ყოველთვის უნდა ცდილობდე იმ კაცის დამარცხე-
ბას, რომელიც დარწმუნებულია, რომ ფულით
იყიდის ყველაფერს: სინიდისს, პათიოსნებას, სი-
ყვარულს...

ჩიტულ. კაი, კაი თუ გიყვარდე... მართალს
ამბობ... მარა... მოვკვდი სიცილით... (იფინის).

მასწ. მით უმეტეს მაშინ უნდა ისარგებლო,
როცა ის ასეთ დიად გრძნობების სავაქროთ და-
დის... ამ ღროს უნდა გაასულელო ის... (სიცილით
გადახ).

გამოსვლა IV

(ზაგლე და მხეილი)

მას. (ტანზე ეგროზიულათ აცვია) დიახ, ასე ინე-
ბა თქვენმა ქალიშვილმა და მეც მისს სურვილს
ვასრულებ... ვით მონა მისი... მე სხვაფრივ მო-
ქცევა არ შემიძლია. ვაი თუ იწყინოს...

ზაგლ. მამანუწამიწყდება არ ვიცი. შეიძლება
შენთვის ეს საწყენი არ იყოს, შეიძლება კიდეც
გიხარია, მარა მე კი ამას ჩემს ქალიშვილს ვერ ვა-
პატიებ... როგორ შეიძლება მისი ბოვში ხომ
არა ხარ... მამანუწამიწყდება, მე რომ მიქნას...

მას. ეეჰ, არა უშავს ჰაგლე, არაფერია! ევა-
ტივება, ჯერ კიდევ ბავშვის ხასიათი აქვს.

ზაგლ. რაც უნდა იყოს, ეს მაინც შეუწყნარე-
ბელია!.. ბავშვი აქედანვე უნდა გაზარდო შენს
ქეუზე. ვის გაუგონია ასე? მოგწერს: ხან ასე გა-
მოეწყვე, ხან ისეო, ხან წითელ ჩოხას გაცმევს,
ხან შავს, ხან ქრელს. ახლოხებებს გაცვლევირებს,
ქულს... ახლა კიდევ რუსული ტანისამოსი ჩავი-
ცვამს მისი მოწერით... ეს ვერა კაი... ხარჯია,
ერთი, მეორე. შენ გამოუცდელი ხარ, ჩემო მიხე-
ილ და აი მე რა გითხრა! კაცმა არასოდეს ცოლის
ოჯახში გული არ უნდა გააყვანო—ას სურვილი-
დან ცოლს ერთი უნდა აუსრულო და მაშინ იქნე-

ბა ოჯახის მომკინე, მუყათი და ერთგული... თვა-
რა თუ ცოლმა ქმარი ერთხელ მოთოკა და მოკა-
კვა, მერე შენი მტერია, სულ თავზე დააჯდება...
ეს იცოდე შენ... მამანუწამიწყდება მართალს...

მას. ჰაგლე, ჰაგლე! გავს, რომ შენ ახალგაზ-
ღობა გაგვიწყებია...

ზაგლ. სრულიათაც არა...

მას. მომითმინე. რა ვუყოთ შე კაცო! როცა
სისხლი თამაშობს და ხტუნავს, მაშინ გონება შორ-
საა, რას ჩადის პაშინ კაცი, თვითონაც არ იცის...
ასე კირს ჩიტულიასაც. ის ისეა გატაცებული ჩემი
სიყვარულით, რომ ესაა გონება დაკარგოს...

ზაგლ. შეიძლება... მარა... მამანუწამიწყდება...

მას. მომითმინე. და რაკი თქვენი, მშობლების
მორიდებით ჩემთან დაახლოვება ვერ გაუბედნია
ჯერჯერობით, ამით იკლავს ეინს. თორემ როცა
ერთად ვიქნებით, მაშინ კი არ იზამს ამას. აკი
მწერს, ეს ჩემის მხრით სულოვნობაა, მარა რაღაც
ბავშვური გატაცება მადენინებს ამას და შემდეგში
კი, როცა ერთად ვიქნებით, ამის მსგავსიც არაფე-
რი იქნებაო...

ზაგლ. არ ვიცი, შეილო, მე კი მაგას ვერ მო-
ვითმენდი... ყოველ შემთხვევაში ერთს კარგად შე-
ვახუებ...

მას. ჰაგლე, როგორ შეიძლება ეს? თუ ჩემი
სიყვარული გაქვს, არაფერი აწყენინო ჩიტოს, გა-
ივლის ღრო, ჯვარს დაიწერო და ყველაფერი თა-
ვისთავათ გარიგდება...

ზაგლ. შენ იცი, შეილო... (საერთო ზაუნა)
სხვა იმ „ლისთების“ რა ქენი? ხო ოუწიკე იმ ყუ-
რუმსადებს სახლკარი? ან?.. მამანუწამიწყდება...
კარგად...

მას. კიი! იცოცხლე, მე იგენს ღლე დავაყე-
ნე! ერთი სარის ძირი არ დამიტოვებია ოუწერე-
ლი! გაცვეთილი მამაძალი, ასე ეგონა ფული რო
ვასესხე, საჩუქარი იყო, კი არ ფიქრობდა მოცე-
მას... ორი ქცევა ადგილი ქონდა და ისიც ოუ-
წერე... ისე სახლი...

ზაგლ. აი, ცხონდა მამაშენი! მასე უნდა! კულს
რო აბზეკს და თელ სოფელში მაგისტანა თუ ვინ-
მეა არ გონია!.. მამანუწამიწყდება, მოუხდება!..

მას. ამ კვირაში ხუთ კაცთან კიდევ უნდა
მივიყვანო პრისთავი, „ლისთები“ გამოტანილი
მაქვს... სულ კულამდი დავატყავებ ყველას, ერთ
კაპიკსაც არ ვაპატიებ...

ზაგლ. გაგიგონია? სულ წმინდაო ღმერთო
უნდა აძახო ყველას...

მას. ვექსილებში სულ ერთი ორათ მიწერია
მისესხებული ფული. თუ სინდისიანათ გარჯილი-

ყვენ და ვადაზე მოეტანათ, მაშინ რაც ვასესხე მართო იმას გადავახდევინებდი, მარა ახლა კი სულ გადავაყვლეფინებთ... შენ ვერ წარმეიდგენ, პავლე, რამდენ კაცს აქ ჩვენს სოფელში ჩემი ფული და ორი-სამი კაცის მეტი სინდისიანათ არ ირჯება, ყველამ ან ვადაზე გადამიცილა და ან მიკილაოზნიკა რამე...

ზაგლ. არ ვიცი, რაც შეილები არიან?

მის. მარა სად წამივლიან? ყველასგან ვექსილები მაქ, უკანასკნელ კვალ მიწას ოვეუწერ და თითოვით გავხდი...

ზაგლ. ვინ გიძრახავს მერე? არავინ, მამანუწამიწყდება!.. სარგებელს ხომ ბლომით უწერ?

მის. იცოცხლე! მაგისთანებში ვერ მომატყუებენ, სხვაი თვარა... (ზაუხა) ჩვენ ისეთ დროში ვართ, რომ პატიოსნურათ და კაცურათ მოქცევა არავისთან არ გავა, ამისათვის ყველას მგლათ უნდა გადაექცე... იმიზა რომე შენც თუ მარჯვეთ არ იქენი, აქით შეგტყამს სხვა ვინმე. აი ავილოთ თუნდ ის, ჩემზე რო გაზეთში დაუწერიათ...

ზაგლ. რაო, რაო?

მის. რაო და მუშებს საშინელ ცულ პირობებში ამუშავენს მაღაროებში, ქირას უქამს, თავის დროზე არ აძლევენ, პარავსო და სხვა ამისთანები. განა მე მარტო ვშობი ამას? მთელი ქვეყანა ასე არ გამდიდრდა იქ? განა მთელი იქაური ვაქრობა ქურდობაზე არაა აგებული? მე ვისი მონაგონი ვარ იქანა?.. ჩემსავით პატიოსნათ ერთიც არ იქცევა იქანა, მარა აი რავე გამლანძღეს... (ზაუხა) მარა, მარა, არა უშავს, ვიცი ვისი დაწერილიცაა...

ზაგლ. კაცო, მიკვირს მამანუწამიწყდება! შენზე კი არა კაცო, ნიკოლაძეზედაც კი წერენ, მარა რა ვუყოთ, იმას აქცევ ყურადღებას?

მის. არა, მარა მაინც... აი ის... მე რო დამიწერა... ალბათ ის იქნება... ამას წინეთ არ მივიღე სამუშაოთ... ეს, ვერ მოვიგონე გვარი... დასწყევლოს ღმერთმა მისი თავი!..

ზაგლ. რეიზა არ მიიღე?

მის. სულელი ვიყავი, კაცო, რო ვილაც ანარხისტს და ბომბისტს ადგოლს მიცემდი? მერე ხომ არ მექნებოდა მისგან მოსვენება! რა უნდა „ერთობის“ ხალხს რამე საქმეში?.. ისინი სულ კინწის კვრით გამოსასტუმრებელი არიან...

გამოსვლა V

(იგინავე და ეფეშა)

ეფემ. ოო, ჩემი შვილი, ჩემი საყვარელი შვილი მოსულა? (მიგარდებს).

მის. მოვედი ჩემო შვილი დედავ, მოვედი...

ეფემ. როგორ გიკითხო შვილო, ხომ კარგად?

მის. (იგინის) როგორც მოგეხსენებათ შეყვარებულის... ხა...ხა...ხა... ჩემი ჩიტო რას შევება, ჩიტო?

ეფემ. რას იზამს გენაცვალეთ? ეწყობა და ეწყობა საქორწილოთ... სულ მისი ხელით იზადებს მზითებს მისი ქირიმე...

ზაგლ. მერე რა საბნები შეიკერა რო იცოდეთ იფ... იმაში კოტრიალს რა აჯობებს... ქალი გვერდით და გრიპაა...

ეფემ. ვახ, რა გლახა ენა გაქ შე საწყალო! რა დროის შენი ქალია, დაბერდი კაცი. (მისეილს) ექვსი შალის საბანი შეიკერა, ექვსი აბრეშუმის... (თავისთავის) დედა რამდენი ტყუილი მე შემძლებია?.. სწორეთ ტურა ვყოფილვარ, ცხენის კულზე გამოსაბამი.

მის. ხა...ხა...ხა... ეზადება ან?

ეფემ. ალბათ თქვენ დიდ მზადებაში იქნებით, შვილო?

მის. რასაკვირველია რო ვარი ვარ და მეტი არა? ქიათურაში, ქუთაისში, ბათუმში, ფოთში, თფილისში ყველა მეგობრებს და ნაცნობებს შევეუთვალე, რომ ცოლს ვირთავ სიყვარულითთქვა და როგორც კი მოგწეროთ, ქორწილში დამეპატიეფთთქვა. მე ასე გადავწყვიტე: ორი დღე აქ, სოფელში უნდა ვილხინოთ, მერმე გავსწვევ ქუთაისს ჩემს გასტინცაში და მერე თბილისში. ისეთი ქორწილი უნდა ვქნა, რომ მთელი ქვეყანა გაკვირდეს... ზურნა და არლანი უკვე დაქირავებულია...

ზაგლ. პა...პა...პა... ბიქოს! მაშ იქნება და იქნება ქორწილი, ან? ერთ ამ სიბერის დროს მატრიხინებს აბა ჩემი სიძე ფაიტონით, ან?..

ეფემ. გენაცვალე, შვილო, ჩემი ხასიათის რო შეიქენი. მე, თუ გინდა ქვე მიძრახოს კაცმა და დიდი აპარტავანი ქალი ვარ. მიყვარს გამოჩენა, მდიდრული ცხოვრება, გარება, გამორება... და მადლობა ღმერთს, სიძეც რო ჩემი ხასიათის შემხვდა...

ზაგლ. მერე, ჩემო სიძე! მოგიკეტეს აზნაური პავლე სამარაძე, თუ არ გასახელოს. ერთი ძველეზურათ, ჩემებურათ რო მოვიგდებ ქულს გვერდზე და ვწრუპავ და ვწრუპავ ყანწებს... ეფ... მამანუწამიწყდება... გასახელებ რალა...

მის. აბა შენ იცი! იმედია არ შემარცხვენ (ზაუხა) მარა ერთი რამ უნდა გითხრათ, ჩემო მშობლებო. მოიწით აქეთ. კი მართალია მე და ჩიტულის გვიყვარს ერთმანეთი, მარა იცოდეთ, რომ თუ დაპირებულ მზითებს დააკელით რამე, გლახათ იქნება საქმე. ვფიცავ ჩემს ახალგაზღვრებას, რომ ჯვარდაწერილ ქალს შემოგატოვებთ ხელში...

ზავლ. მაშინ მოკვდეს პაღლე სამარაძე, რომ დაპირებულზე ერთი ძაფის საღირალი რამე დაგაკლოს... რას ამბობ. კაცო, მე მგონია კიდეც მოგიმატებ და... მამანუწამიწყდება...

ეფემ. მაგი რავა შეიძლება, შეილო, ჩვენს გვარიშვილობას მაგი შეშვენდება?

მის. თქვენ იცით. ეს ერთი, მეორე. თქვენი შვილი მე ღღემდის თავის გარძობებზე არ დამლაპარაკებია. მართალია წერილებით კი ვიცი, რო ვუყვარვარ, მარა პირადათ მოლაპარაკებას ყოველთვის გაურბის. (ღიმილით) მეც... მეც კაცი ვარ, მემამბა ჩემს საცოლისთან ტუბილი მუსაიფი და ქუქუნი. ამისათვის გთხოვთ ჩაგონოთ, რომ უფრო დამენდოს, მელაპარაკოს, უთხარით, რომ ის ჩემია და ვერაფერს დაგვაშორებს და სხვა.

ეფემ. კი გენაცვალე, კი შამოგველე! აქნობამდი გეთქვა, თუ ასე იყო, ამ წუთშივე აქ გავაჩენ...

ზავლ. მორცხვია ის შერცხვენილი.. მამანუწამიწყდება... მით უმეტეს ახლა, მთელ სოფელში ხმა გავარდა, რომ თხოვდება და ხომ იცით ქალიშვილი ქალის ამბავი...

ეფემ. აჰა, ერთი კვირა კარში არ გამოსულა საწყალი...

მის. ოო, ამას მეც ვატყობ! მასთან ჯვარის წერის ღღეც ეხლავე უნდა დაენიშნოთ...

ეფემ. კი შეილო, კი გენაცვალე...

მის. ჩემის ფიქრით ღღეისწორ კვირას მოვხდინოთ...

ზავლ. კარგი ძალიან, მარა ჩიტოსაც ვკითხოთ...

მის. კი ბატონო, აბა უმისოთ როგორ შეიძლება...

ეფემ. მაშ ეხლავე შემოვიყვან. (გადის).
(დასასრული იქნება)

გ. მალაქიაშვილი.



ნაჩილუბი ეშვანისაღმი

ბათუმი. ჩვენისთანა უბედურები თუ კიდე იქნებიან ქვეყანაზე, არა მგონია. ჩვენ აღარც ღმერთს ვახსოვართ, აღარც ანგელოზებს და ეშვანაკაც კი დავგივიწყა. თუმცა თქვენ, დილო ეშვანაკო აქ დანიშნეთ თქვენ შოადგილეთ „კვინწარი“ და ბლიკვაძე, მაგრამ, მათ ერთხელაც არ გადმოუხედათ ჩვენსკენ, მუშებისაკენ, ისინი უფრო უმადლეს სფერებში აკეთებენ რევიზიას. ერთი რომ თვალის გადავლოთ ბათუმის ნოქრების „ნაკვეთის-რალისკენ“, მერწმუნეთ რომ იქ ბევრი სამართახეს ნახავდენ. მაგათში პირველი ადგილი დაეთმოება ყოფილი კავშირის „დახლიტრებს“, ანუ უკეთ რომ ვთქვათ, არა „მკითხე ოპეკუნებს“. რახან დავიწყეთ ეშვანაკოჯან, სჯობს სულ თავიდგან მოგიყვე. ჩვენ, ბათუმის ნოქრებმა 1906 წელს დავიარსეთ პროფესიონალური კავშირი რაღაცა უხილავი ძალის

გავლენით კავშირის გამგე—მართველათ გვეიდენ ისეთი პირები, რომლებიც გზაზე რომ შეგხვდეს და თავი დაუკრა შემოგებღერს „როგორ ბედავ შე არამხადავ რომ თავს მიკრავო“ არ ვიცი იყო აქ ხათრი და მორიდება მანქეტ—ვარტნიკები-სადმი, თუ სხვა მაგრამ ეს კი ცხადია, რომ ამ ვაჭბატონებმა პირველ არჩევის დღიდანვე დაიჩემეს ხაზინობა და ამან იქამდის მიგვიყვანა რომ ეხლა ჩვენი კავშირის ნანგრევებზე ნარდი, კარტი ნუნუა და პარიარალე აღმოცენდა, წვევებს დიდი ხანია რაც დაავიწყდათ კავშირის ხსენებაც კი, რადგანაც აგერ ექვსი თვე არის, რაც ფული არ მოუკრფვიათ და წვევები კი ამით გებულობდენ კავშირის არსებობას; რომ ყოველთვის დამღევეს მიადგებოდენ ბოქაულივით, საწვევრო ფულისთვის. აბა კრების მოხდენა ღმერთმა შეინახოს. აუცილებლათ საქირაო მაგათი შეხურება შენი კურთხეული მათრახით, რასაც ნუ დიყოვნებთ.

„მერკინე ნოქარი“.

ქ ი ც ხ ი დ ა ნ .

(დამარცხებულ „კომუნასს“!)

იყო იმერეთს ხუცესი,
მფლობელი ტყე და ველისა,
კულა ბზიკა და ამაყი,
მაცხოვრებელი მრევლისა.

ხუცესს ძე ესვა მიხაილ,
„ტარიელობდა“ ძალითა
ჩემობდა რაინდობასა,
თავისი ბლაგვი ხმალითა.

ერთ დღეს ადგა მიხაილი,
მღვდლის წინ ქედი მოიხარა.
თაყვანი სცა მოწიწებით,
გული მისი გაახარა.

უთხრა: „მივალ თავადისას,
ამბობენ, აქ ქონებაო,
მოგურავათა დავდგები
ხალხი დამემონებაო“.

ეგებ ბოლოს ხელთ ჩავიდლო
მამულები, სახლი, ყმაო;
ბატონობა დავირჩინო
და გავითქვა ხალხში ხმაო“.

დასტური ჰყო მამამ შეილსა
სამჯერ ჯვარი გადასახა,
დალოცა და ასე უთხრა:
„ღმერთმა ჩემებრ დაგასახლა“.

გახდა მიხა მოურავი,
ცხენზე ზის და დაჯირითობს,
უხარია, რომ ერმინე
უკან მისდევს, ათრევს მის თოფს.

ბრძანებას სცემს მამულებში:
აბრიალებს მკაცრად თვალებს
და საბრალო სოფლის მუშას
გასტანჯავს და გააწვალებს.

მაგრამ ჩქარა გაუცრუვდა
მიხას ნატვრა გულისაო,
ერთი მაგრათ უპანჩურეს
და მან გააგულისაო.

ძველებურად ვერ ნაწარდობს
იგი ყალბი ტარიელი,
ჩამოართვეს რასაც ფლობდა,
დარჩა შიშველ-ტარიელი.

დაწრიალობს უბედური
არც სახლი აქვს არც ბინაო,
გულით უნდა მღვდელთან წასვლა,
ვინ შეუშვებს მას შინაო!

„მიხას როგორ შემოუშვებ,
ყალბი მომცა ვექსილიო!
მგონი ციმბირს გამაგზავნონ
არ არის ჩემი შევილიო!..“

რა ესმა ესე მიხაილს
მიმართა თავისს ვარლამსა:
„პირველ გინატრი ყოველ კარგს
და გიძღვნი ტკბილსა სალამსა!

ხომ გახსოვს შენის მოწმობით
რომ გავიმარჯვე სულშიო?
ჩემთვის სიცრუე არ ზოგე;
რაც კი რომ გქონდა გულშიო!
ახლა ამას თხოვ, დროებით
მომეცი შენთან ბინაო,
კანონით დამარცხებული
მამამაც შემარცხვინაო“.

ამის გამგონე ვარლამი
შეთუთვლის თავის მიხასა:
„მობრძანდით თქვენი ქირიმე
და დარჩით თუ გინდ დიდხანსა!“

ბოლოს მიხამ მოინდომა,
რომ დაეფლო სრულად „თირა“.
იქიდანაც გააძვეს,
ერთობ გაუსივს ცხვირი.

ზურაბაც თან მიაციოლეს,
თავისის გულდანაბდითო;
ქირს ვარამზე დამართა
ლამის გათავდეს დარდითო.

შეგროვდნენ დამარცხებულნი,
აწლაკუნებენ პირსაო!
მიხა ქამანჩას ყიდულობს,
ვარლამი რაჭულ სტვირსაო.

ვლადიმერ ყაირათს უწევს
მათ უყოფს ქირს და ლხინსაო
მიჩერებიან „კონკრობას“
დაუკინებენ ღდინსაო.

ჩიკორტელა.

დ. ხაშური. ამ დღეებში დ. ხაშურის ღორები შეეკითხენ აქაურ მამასახლისს, — ს. ხალიაი-მურაზას, რომ შეეძლოთ თუ არა მათ, სამხედრო წესების მოხსნის შემდეგ მაინც დაბრუნდნენ სამშობლოში და თავისუფლად იცხოვრონ. მამასახლისმა განუმარტა, რომ ისინი გაძევებულნი არიან სამშობლოდან არა სამხედრო წესების მოხსნამდე, არამედ მთავრობის მამასახლისების პოხსნამდე.

ღორებში დიდი მღელვარებაა და ვნახოთ რა ექნება.

— ამ დღეებში აქ, — ტიგრანას სამიკიტნოში, „ბახუსის“ წვენი თაფი მოიწამლეს მიხაილოვის დეპოს ორმა მუშამ, — იაშკამ და იოსებ — შვილმა. დახმარების აღმოსაჩენათ საჩქაროდ მოწვეულ იქნა რკინის გზის ექიმი, — ბ. მინასიანცი, რომელმაც ისინი ხოლერით ავათმყოფათ სკნო. მათ გამობრუნება ეტყობათ.

თავის მოწამელის მიზეზით, ამას წინეთ მიღებული ჯამაგირს ასახელებენ...

ახლათ გაეშმაკებული.

დ. უვირილა. ბ. ეშმაკო არ იქნა და არა, ვერ ველირსეთ თქვენ ნახვას, თორემ ბევრ რამეს გაჩვენებდით ჩვენ კურთხეულ დ. უვირილაში. ყველაზე უფრო საინტერესო სანახავია სამოქალაქო სასწავლებლის მოუთავებელი კედლები, რომლებიც აგერ ხუთი-ექვსი წელია საცოდავით ვადმოიყურებთან მალლიდან. მოვესწარით მთელი დაბის დუქნების გადაწვას და უკეთესის აგებას; მხოლოდ ვერ მოვესწარით და ვერა ამის მოთავებას, დღეს, როგორც ბოროტი ენები ამბობენ, სულ უნდათ ვითომ დახურონ სასწავლებელი და ან კი რა საქირაა, როდესაც აქაურები ისედაც ძლიან განათლებულები არიან. თითქო ისიც მართალია რომ ფულები უკვე შეუკრეფიათ, მაგრამ სად გაქრა არავენ იცის. სასიამოვნო სანახავს, თუ იკითხავ, ღიღზე მოაჩიყე ქალ-ვაჟთა გუნდია, მათი დაუსრულებელი სიცილიკისკისი და სხვა-და-სხვა დასაკრავები, როგორც მაგ. გიტარა, მანდალინა და სხ. ძლიერ გასიამოვნებთ. დაინიშნა გაღმა გამოღმა წყლის პირათ „საგულავო“ ადგილები; ორთავე მხარეს დღემდის უვირილის და შორაპნის დეპოების მუზიკა უკრავს შაბათსა და კვირა საღამოობით; მაგრამ მათ შორის ერთს დარჩა უპირატესობა გაღმის მხრით, რადგან გამოღმის მხრით შორაპნის დეპოს მუშები უკრავდენ მუზიკას და დღეს ზოგი მათგანი შეპყრობილია და ზოგიც სულ დათხოვნილი სამუშაოდან, ანუ სამსახურიდან; მაგრამ მაინც არაფრათ ესწრება ხალხი, რადგან ჯერ კიდევ გამაოურკვეველია სად უკეთესია აშაყობა ბიღზე თუ იქ. უნდა მოგახსენოთ, არის ხანდისხან ჩხუბიც, მაგრამ რაუყოთ მერე. ეს ხომ ნუნუას ბრალია და ხომ იცი რა ძნელი რამაა ზოგიერთათათვის ძველი მამაპაპური ზნე ჩვეულების დავიწყება?! თუ არ დაგეზარება და აქაურ გადამწვარ თეატრის შენობასაც ინახულებთ არ იქნება ცული; გასამათრახებელი პირები კი თქვენ გამოიცანით!!

პოლისინეს ნათლული.

სად. ულუხანლუ. ძმაო ეშმაკო! რომ იცოდეთ რამდენი მყვლეფელი ჰყავს ამ ოხერ ულუხანლუში ჩვენს მუშებს, მაშინვე მოაშურებდი შენი მათრახით. აქ ძმათა ლაგაზიძეებს აქვს სასმელი დუქანი, ეს დუქანი წარმოადგენს მუშათა კულტურულ დაწესებულებას. „ბილიარდი“ „კარტი“ და „ნარდი“ აი დანიშნულება და მიზანი ამ კულტურულ დაწესებულებისა. იმდენად გაკადნიერდენ ამ დუქნის პატრონნი ლაგაზიძეები, რომ რამდენიმე პირთან შეკრენ პირობა და იქ შესულ ხალხს თუ კი რამე მოუხერხეს ტყავს აძრობენ, ხოლო იმ შემთხვევაში თუ შევსვლელმა აჯობა თამაშობაში მივარდებიან და ცემა-ტყვიით გარედ გამოისტუმრებენ და თუ მოახერხენ ფულსაც არამევენ, შენ კარტი ჩავიწყვეო და სხვა... ასე უყვეს ერთ ადამიანს ამ ერთი

კვირის წინათ. ასე რომ თქვენი იქ ჩამოსვლა ძლიერ საქირაა. სანამ ძმებს ლაგაზიძეებს ზურგის კანი არ გაუხურდება თქვენი მათრახით, მანამდე არ მოეშვებიან მუშათა ყვლეფას.

ტერ-გრიქუროვს მოხვდა თქვენი მათრახის კული და ცოტა არ იყოს ცხვირი ძირს დაუშვა. თუ კიდევ საქირაო იქნა შემოგითვლი.

აქური.



წვირილი რამდაძიის მიმართ.

ბატ. რედაქტორა! „მათრას-სალამურის“ მე 5 №-ში მათავსებული იყო ბ. კასიოს წერილი, რომელშიაც სხვათა შორის სწერდა: „ნატანების ისედაც დამონაგებული რკინის გზის მუშები შელტონ დოლიძის შეთხებით კიდევ უფრო დამონაგვენ მათა უფრესებს. ამ დღეებში აქ მუშებმა მოთხოვნა წარუდგინეს თავიანთ უფროს, რომლითაც მოითხოვენ ზირბების ცოტადნად გაუშვობესებს, ადგა შელტანი და ურჩია მუშებს თუ ამა და ამ მუშას დაითხოვ სხეუბა კრინტს ვერ დასსრავებო მართლაც ნაცვლათ დამაყოფილების საში მუშა უღუკმო ჰუროდ გამოატდეს ქეჩაში. მამა ეშმაკო ერთ მათრასს შელტონ-სათვისაც ნუ დაიზარებ, ახალ გაზრდა კაცია იქნება მოხუცებულობის დროს მაინც დაანებოს თავი ამ ხელობას“.

საშინელი ბრალდება! მართალია საში მუშა დაითხოვეს, მაგრამ ერთი ე. გუბერი-ქურდობისათვის ხოლო სხვა ორი მუშა ასათიანის კალახვის კამო. რომ ეს მართალია და მე ბ. კასიო ეოვლად უსამართლოდ და უაუფქვლოდ ჩირქს მცხებს ამა და დამტკიცებენ არდგილობრივი მუშები. ნეტა თუ იცის ბ. კასიომ რა ბრალდებას აკენებს ჩემზე! გამოდის რომ ჰროფესიონალური მამუზლარა ვეოფილვარ ჰკითხეთ პატონებო იმ მუშებს, რომლებიც ჩემთან მუშაობდენ და რომლებიც მუშაობენ დღეს როგორი დამაინ ვარ მე-ჰკითხეთ სასოგადოების იმ საშატო წევრთ, რომლებიც მე დაახლოვებით მიცნობენ ბ. კასიო არ უნდა დაივიწყეთ რომ სანამ ვარ კად არ გაიგებ სკიმის სამდვილ მინარსს არ უნდა დასწეროთ და შეგდომოში არ უნდა შეიფანოთ როგორც რედაქცია ისე სასოგადოება.

მელტონ დოლიძე.

ბ-ნო რედაქტორა! უმორჩილესათ გთხოვთ ნება მიბძოთ თქვენი პატრიცემული ჟურნალი „მათრასი და სალამური“-ს საშუალებით სამედიატორო სამართალში გა-

მათრასის ფოსტა.

სურამში, ძმარს. თქვენი წერილი არ დაიბეჭდება. ვფიქრობთ რომ ისეთ «პურ-ღვინის» კაცი: როგორც კოწია ერისთავია, მწყურვალ ბავშვებს ჰაის წყალს უბერდეს, ყოველ შემთხვევაში ჯერ შევამოწმებთ ფაქტს.

სამხრამდია, პატარა ბზიკს. „მათრასის“ № 9 მოთავსებული იყო კ. კიკაჩიშვილის წერილი. ის თქვენ სამართალში გიწვევდა და მედიატორიც დანიშნა. თქვენ საპასუხო წერილში არაფერი არ სწერია იმის შესახებ: თანახმა ხართ თუ არა სამართალში გაყოლაზე. ასეთი წერილი კი არ დაიბეჭდება, რადგან ბევრს კამათს გამოიწვევს.

ახალ-სენაკი. ალექსანდრეს. თქვენი პოეტური ნაწარმოები „შურასადმი“ მხოლოდ დათიკო ჯიბაშიც მოგვრის შურს.

„ხუთის მაშობზე, ჯოჯოხეთს მაწდენ ჩემს აზრს ბუნდოვანს შენ კაცს ვერ აწდენ, და უმიზეზოთ კავშით კაცსა კვდარ-ცოცხლათ მტოვებ საგათას ძილსა.“

ბუნდოვან აზროვნება მართლაც რომ არ დაგეძრახებათ.

იუბორისტულ პოპულიზრული, ეოველ-კვირული, სურბათებიანი ქურნალი

„მათრასი და სალამურნი“

წელიწადში ღირს 5 მან., ნახევარი წლით — 2 მან. 50 კ., ერთი თვით — 50 კაპ.

ვინც წლის ბოლომდის გამოიწერს და ღირებულ ფასს (2—50) სრულად გამოუგზავნის რედაქციას, გავგზავნება აგრეთვე უკვე გამოსული „სალამურის“ აღმანახები 7 ნომერი.

მიიღება დასაბეჭდი განცხადებები: პირველ გვერდზე სტრიქონი 20 კ., უკანასკნელზე — 10 კ. დროებითი რედაქციის აზრები: Тифлиси, Типография Т-ва «Шрома» Василию Болквადзе.

„ფაუსტი“

კოტეისი
თარგმანი პ. მიჩინიშვილისა
ფასი 1 მან. 25 კ.

ვინც ხუთ ცალზე მეტს დაიკვეთს წიგნი დაეთმოზა თითო მანეთად. გამოწერა შეიძლება ფასდადებითაც ხოლო გასაგზავნი დაემატება თითო წიგნზე ორი შაური.

ვისაც სურს ეს წიგნი შეიძინოს მიჰმართოს „შრომის“ სტამბაში ვასო ბოლქვაძეს.



— თქვენი ქმარი თფილისის სიცხეში იხარშება და თქვენ კი აქ ბორჯომში სტკებებით.
— მართალი მოგახსენოთ, ვერაფერი დატკობაა თქვენისთანა ბაიყუშთან მუსაიფი.

მოიწვიო ამაყე უურნალის მეთრე ნომერში მოთავსებულ კორესპონდენტის ავტორი, რომელიც ჩირქს მტკებს. მედიატორეთ ვნიშნავ ან. სლაუქვაძეს. ვადას ვაძლევე ერთ კვირას დღიდან გამოცხადების დასასჯელთს თავის მედიატორე, სსსამართლს გადაწვევტილება ერთ ერთ ქართულ გაზეთში უნდა გამოცხადდეს.

არსენ ვადაჯკორია

ბ-ნო რედაქტორო! „მათრასი“-ს მე-9 ნომერში ვიდაც „ზროვინტიელი ეშმაკი“ მწამებს, თითქოს მე და მღვდელი მედიტონ ჟვანია სკოლაში ძრიელ მთვრალი იატაკზე ვეუარეთ. სიმართლის აღსადგენათ „ზროვინტიელი ეშმაკს“ ვიწვევე სამედიატორო სამართალში ვაძლევე წინადადებას, დღიდან ამ წერილის დასტამბებისა, ერთი კვირის ვადაში გამოცხადდეს მასში და თავისი მედიატორეება. ჩემი მხრით მედიატორეებათ ვასასჯედებ. ბ. ბ. ზარმენ ასთიანს და ივანე ჟანელიძეს.

ილორის ერთკლასიანი სამინისტრო სკოლის მასწავლებელი ირაკლი ჩიგოვანიძე.